



3574/3-74/22 2 19042022

3574/3-74/22

19-04-2022

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს

ბატონ ოთარ შამუგიას

ბატონო ოთარ,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, ამავე მუხლით გათვალისწინებულ ვადაში, გთხოვთ, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში მომწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებული პროგრამების/პროექტების შესახებ, რომელიც სახელმწიფო მხარდაჭერის ფარგლებში ხორციელდება;

ინფორმაცია პროექტების მიზნობრიობის, მოცულობისა და მდგომარეობის (დაფინანსებული თანხის ათვისების მდგომარეობა) შესახებ, ცალ-ცალკე თითოეული პროექტისთვის ცხრილის სახით;

ინფორმაცია რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით პროგრამისა და პროექტების დაფარვის მასშტაბებზე, შესაბამისად გამოყოფილი ბიუჯეტის მოცულობებით;

ინფორმაცია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის სახელმწიფოს მიერ განხორციელებული და მიმდინარე ხელშეწყობი ღონისძიებების შესახებ;

დაგეგმილი და განხორციელებული საინფორმაციო კამპანიების შესახებ (მოსახლეობასთან შეხვედრა და ტრენინგების ჩატარება) და იმ წყაროების შესახებ რა გზითაც ხდება ინფორმაციის გაზიარება მოქალაქეებისთვის.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
გივი მიქანაძე